# ლაპარაკობენ საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატები

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კომკავშირის 26-ე ყრილობის დელეგატებს — სახელგანთქმულ ფალავნებს გ. სალარაძეს, რ. რურუას, ა. ქიბროწაშვილს და ასეთი კითხვა მისცა მათ:

● რას მოელით საქართველოს კომკავშირელთა ფორუმისგან?

**გ. სალარაძე:** ეჭვი არაა, რომ ყრილობა საქართველოს ახალგაზრდებს ახალ სამოქმედო გზებს დაუსახავს. სხვა საკითხებთან ერთად დელეგატები, ცხადია, ყურადღებას გაამახვილებენ ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის შემდგომ განვითარებაზე. ერთი სანუკვარი ოცნება მაქვს: საქართველოს კომკავშირის რჩეულებმა დღის წესრიგში დააყენონ თბილისში საჭიდაო საწვრთნელი-სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობის საკითხი.

**რ. რურუა:** გურამს მხარს ვუჭერ. ამ პრობლემის გადაწყვეტას ქართველი ფალავნები ავერ ორ ათეულ წელზე მეტია ელიან...

გარდა ამისა, ურიგო არ იქნებოდა ყრილობას დაეყენებინა საკითხი ჩვენს სკოლა-ინტერნატებში ჭიდაობის სექციების გახსნის თაობაზე. ჩემპიონთა გზა ხომ სწორედ სასკოლო სარბიელიდან უნდა გაიკვალოს!

**ა. ქიბროწაშვილი:** აბა ვინ უნდა ითავოს საჭიდაო სარბიელთა მოწყობა, თუ არა კომკავშირმა? მე ასე ვაყენებ

საკითხს: ჭიდაობაზე ყურადღება უნდა მიაქციოს ყველამ. ეს ნამდვილად ეროვნული სახეობა უნდა ვითარდებოდეს გორშიც და ლანჩხუთშიც, ახმეტაშიც და მახარაძეშიც, სამტრედიაშიც და თელავშიც... კომკავშირელთა თაოსნობით, მათი უშუალო საქმიანობით რესპუბლიკის ყოველ რაიონულ ცენტრში უნდა მოეწყოს საჭიდაო სარბიელი. ჩვენმა ყრილობამ ახალგაზრდობას ამ სასახელო საქმისკენაც უნდა მოუწოდოს.

## გუშინ...

*ბაკურიანში გრძელდებოდა საქართველოს ზამთრის 11 სპარტაკიადა. გაიმართა შეჯიბრებები სპეციალურ სლალომში, 15 კმ-ზე რბენასა და ჭოკეიში. სლალომში გაიმარჯვეს: ვაჟებში — გ. აბრამიშვილმა (თბილისის „დინამო") — 1.43,6, ჭაბუკებში — ი. ნასყიდაშვილმა (ბორჯომის განათლების განყოფილება) — 2.00,3, ქალებში — ლ. გოგოლაძემ (ბაკურიანის „კოლმეურნე") — 1.51,6, გოგონებში — მ. თვაურმა (ბორჯომის განათლების განყოფილება) — 1.53,4. 15 კმ-ზე ვაჟთა რბოლა მოიგო თბილისელმა სტუდენტმა ზ. გულბანმა — 45.49,0, ხოლო ჭაბუკებში ყველას აჯობა თ. გულბანმა (მესტიის „კოლმეურნე") — 51.18,0. ჭოკეისტთა მატჩები ასე დამთავრდა: თბილისი — ახალქალაქი 17:0 (8:0, 5:0, 4:0), ბორჯომი — ადიგენი 6:0 (1:0, 4:0, 1:0).*

**(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ЛЕЛО

1966 წ.

№ 27 (3004)

8 სამშაბათი, თებერვალი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


## პირველად — ზამთარში...

„ლელოს" 8 თებერვლის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მთამსვლელთა ლაშქრობაზე: მათ გადწყვიტეს ზამთარში მიეტანათ იერიში იალბუზზე.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა მ. ხერგიანმა (უფროსი) გვაცნობა, რომ მწვერვალზე ასვლა კეთილად დაგვირგვინდა. ეს არის ზამთარში იალბუზის დაპყრობის პირველი შემთხვევა.

ეს ვაჟკაცური საქმე მთამსვლელებმა მიუძღვნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 45 წლისთავის მომავალ დღესასწაულს.

## წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით საკავშირო კატეგორიის შსჯის წოდება მიენიჭა: **კომპლექსურ ღონისძიებებში** — ი. ბაცელაშვილს (თბილისი).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **სამბოში** — ო. წივილაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი"); **მძლეოსნობაში** — ვ. ქუთათელაძეს (თბილისი, „ლოკომოტივი"), გ. კონონენკოს (თბილისი, „ბურევესტნიკი"); **ტანვარჯიშში**—რ. ბერიკაშვილს რ. ჯინჭარაძეს, მ. ჩაჩხიანს (სამეგენი — თბილისი, განათლების განყოფილება), ნ. ბიკოვას, ლ. პოდსტავკინას, ო. ევსეევას (სამეგენი—თბილისი, „განთიადი"): **ფარიკაობაში** — ნ. ნიქაბაძეს, ს. ცხადაძეს (ორივენი — ზესტაფონი, „განთიადი"); **წყალში ხტომაში** — ნ. ცოცხელაშვილს, ა. ოსინინს, გ. ბუაჩიძეს (სამეგენი — თბილისი, განათლების განყოფილება).

## „.... 3 მატჩი მოვიგეთ"

### ზამთრის არდადეგების პრიზზე

ერევანში უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ხელბურთელთა ასპარეზობა ზამთრის არდადეგების პრიზზე. გუშინ რედაქციამ მიიღო თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდის მწვრთნელის გ. შარაშიძის დეპეშა. აი, რას გვატყობინებს იგი:

„პირველი 3 მატჩი მოვიგეთ: ალმაათელებთან — 23:21, ფრუნზელებთან — 32:24, ტაშკენტელებთან — 28:21. ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები აბაიშვილი, ცერცვაძე და ფხაკაძე. განსაკუთრებით კარგად თამაშობენ გუნდის ახალგაზრდა წევრები. 9 თებერვალს ტურნირი დამთავრდება".

## სსრ კავშირი ყველას უსწრებს

### „ეკიპის" კლასიფიკაცია

პარიზი, 6 თებერვალი. 1965 წელს ევროპაში პირველი სპორტული ქვეყანა იყო სსრ კავშირი, — ასე დაასკვნეს გაზეთ „ეკიპის" (საფრანგეთი) სპეციალისტებმა.

გაზეთმა გამოაქვეყნა სპორტის 31 სახეობაში ევროპის თვითეული სახელმწიფოს შედეგების საფუძველზე გამოთვლილი კლასიფიკაცია. იგი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ უსწრებს ევროპის სხვა ქვეყნებს.

„ეკიპის" კლასიფიკაციით 1965 წელს სსრ კავშირმა დააგროვა 167,5 ქულა (1964 წელს — 161,5, 1963 წელს — 146). 11 ადგილზეა გფრ — 94,5, მესამეზე — საფრანგეთი — 93.

## სულიერი საკვები...

◆ *მოსკოვი, 7 თებერვალი. დღეს ათენს გაემგზავრა ცსკა-ს კალათბურთელთა გუნდი, რომელიც 10 თებერვალს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური ტურნირის მატჩში შეხვდება საბერძნეთის დედაქალაქის აეკ-ს. ამ გუნდების საპასუხო თამაში გაიმართება 17 თებერვალს მოსკოვში.*

◆ **მინსკი,** 7 თებერვალი. ი. პოდუბნის სახელობის პრიზზე აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების 54 ათლეტმა-„კლასიკოსმა". ყველა წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა. **ქვემსუბუქ წონაში ყველას აჯობა რ. რურუამ.**

◆ **მოსკოვი,** 7 თებერვალი **(ტელეფონით).** მოსკოვსახლო „მზის ქალაქის" დასასვენებელ სახლში დამთავრდა **სსრ კავშირის სტუდენტთა შესარჩევი ტურნირი ჭადრაკში. I ადგილი დაიკავა საქართველოს წარმომადგენელმა თ. გიორგაძემ — 7,5 ქულა 11-დან.**

## თ. ლომაია, ც. კახაბრიშვილი და მ. ჩომახიძე — ფინალში

**ლენინგრადი,** 7 თებერვალი **(ტელეფონით, ჩვენი კორ.).** „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალების ფინიშზე საბოლოოდ გაირკვნენ ფინალისტები. ვაჟთა ასპარეზობაში თ. ლომაიამ „შური იძია" ფეიდინსა და ატამანოვთან, რომლებმაც წინა შეხვედრებში ფინალში გასვლის შანსები მოუსპეს გამრეკელსა და მაჭავარიანს. 7 ქულით (9-დან) თბილისელმა ოსტატმა I-III ადგილები გაიყო ა. გოლენიშჩევსა და ე. სტოლიართან. IV ადგილი, რომელიც ავრეთვე ფინალში თამაშის უფლებას იძლეოდა, დაიკავა ა. პინჩუკმა (6 ქულა). გ. გამრეკელმა და გ. მაჭავარიანმა 5-5 ქულა მოაგროვეს.

ქალთა შეჯიბრებაში აღსანიშნავია მ. ჩომახიძის ენერგიული თამაში ფინიშზე: მან 5,5 ქულა მოაგროვა და ფინალში გავიდა. ტურნირში I-III ადგილები გაიყვეს ც. კახაბრიშვილმა, ლენინგრადის ჩემპიონმა ა. გრიგორიევამ და ნ. კალაშნიკოვამ (6,5-6,5 ქულა).

ქალთა და ვაჟთა ფინალური ტურნირები გაიმართება ზაფხულში, ბალტიის ზღვის სანაპიროს ერთერთ ავარაჯზე — სეეტლოგორსკში.

**ა. ბელერი,**
**სპორტის ოსტატი.**





**თბილისის ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში მიმდინარეობს საქართველოს უძლიერეს მოცურავეთა ასპარეზობა. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს.**

**გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ნ ი**

მარცხნივ—ოსტატობის კანდიდატი, თბილისის 116-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ვ. ანიკინა, რომელმაც 50 მ ბრასით გაცურა 40 წამში. ეს ნიჭიერი გოგონა დაბადებულია 1950 წელს. მასზე 2 წლით უფროსია თბილისის 28-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ნ. ჩუგუევსკაია (მარჯვნივ). ტურნირში მან ორი გამარჯვება იზეიმა — 50 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 31,7 და 2.42,0.

ფოტო ა. სააკოვისა.

# ჭეშმარიტების ძალისგზები

**6 თებერვალი**

ბევრი საინტერესო შეჯიბრებით აღინიშნა განვლილი კვირადღე�ასეთია ტრადიციის ძალა: ამ დღეს განსაკუთრებით ხალხმრავლობაა სპორტულ სარბიელებზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ჩემპიონატების კალენდარულმა მატჩებმა შაიბიან და რუსულ ჰოკეიში, საკავშირო შეჯიბრებებმა. ყინულზე მოტორბოლაში...

სლოვაკიის დედაქალაქი ბრატისლავა დავმშვიდობა ციგურებით ფიგურულ სრიალში ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებს: ადგილობრივ სპორტის სასახლეში გაიმართა დიდი სპორტული ზეიმი. 12 ათასზე მეტი მაყურებელი ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენი კონტინენტის საუკეთესო ფიგურისტების საჩვენებელ გამოსვლებს. განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია საბჭოთა მოციგურეების სახელგანთქმულმა წყვილმა — ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა. ისინი, ასე ვთქვათ, ახალ ამპლუაში მოგვევლინენ — ბრწყინვალედ შეასრულეს რიტმული ცეკვა.

საბჭოთა სპორტსმენების დიდი ნაწილი ასპარეზობდა საზღვარგარეთ. იტალიურ ალპებში, ტურინიდან 90 კილომეტრის დაშორებით მდებარე სამთო აგარაკ სესტრიერში გრძელდებოდა მსოფლიოს სტუდენტ-სპორტსმენთა ფორუმის — უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული შესარჩევი ტურნირი შაიბიან ჰოკეიში. საბჭოთა გუნდმა დიდი ანგარიშით (8:0) დაამარცხა უნგრეთის ნაკრები და მოიპოვა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

ოსლოში, სახელგანთქმული „ბიშლეტის“ სტადიონის ყინულის ბილიკზე დამთავრდა 5 „საციგურაო სახელმწიფოს“ — ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეიცის, ფინეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენ ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება. გიმარჯვეს ნასპინძლებმა, რომლებმაც დააგროვეს 246,5 ქულა. II ადგილი დაიკავეს საბჭოთა მოციგურეებმა — 189,5. მსოფლიოს რეკორდსმენმა 5.000 მეტრზე რბენაში, ნორვეგიელმა ფ. ა. მაიერმა კვლავ ისახელა თავი: მან მოხსნა ი. ნილსენის (შვეცია) მსოფლიო რეკორდი (15.33,0) — 10.000 მეტრზე რბენაში აჩვენა 15.32,2.

დაიწყო წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩები. მაგდებურგში მარცხი განიცადა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლისნო სპორტკლუბის კოლექტივმა (მოსკოვი). მან წააგო ადგილობრივ „დინამოსთან“ — 2:3 (ამ თებერვალს მოსკოვში, საბჭოთა სპორტული ფალავნების მასპინძელს გადამწყვეტი [illegible] — [illegible] ... ] ... ] ... 

ების საპასუხო მატჩი გაიმართება 12 ნენები მეტისმეტად რთული ამოცანის ტჩში თამაშის უფლების მოსაპოვებლად სხვაობით უნდა მოუგონ). სამაგიეროდ, ტურნირი ადგილობრივმა „პრო რე- ბელგრადის „პარტიზანი“ — 4:1.

ბელიკის ნამთო აგარაკ ჰარმონ-პარტენ- ა ესტაფეტა 4×7,5 კმ, რომელიც მსო- პირველად შეიტანეს: ოქროს მედლები ადგილზე გავიდნენ პოლონელები, მესა- ომ საბჭოთა გუნდში გამოდიოდნენ გა- მელანინი, პუშანოვი და მეშჩერიაკოვი, ლ.

ახალ საჩოგბურთო კორტებზე დამთავრ- ლობის გათამაშება. დიდი წარმატება მო- ალში სძლიეს უკრაინელ ჩოგბურთელებს

გ. ბაკშეევამ (უკრაინა) მოუგო ტ. ჩალკოს — 10:8, 6:1, მაგრამ მოსკოველმა ნ. ხოსლოვმა გაიოანბრა ანგარიში — დაამარცხა მ. მოზერი — 7:5, 6:2. შემ- დეგ კვლავ დაწინაურდნენ მოსკოველები: ო. მოროზოვამ სძლია ტ. ტარანოვას — 6:2, 2:6, 6:4.

მომდევნო შეხვედრამ ისევ აღადგინა წონასწორობა: უკრაინის „პირველმა ჩო- განმა“ რ. სივოხინმა დაამარცხა ვიაჩესლავ ეგოროვი — 4:6, 7:5, 6:3. მერე კი ერთეულთა ორმა თამაშმა მოსკოველები საგრძნობლად დააწინაურა — 4:2.

ყველაფერი უნდა გადაწყვიტა წყვილთა დარჩენილ სამ მატჩს, მაგრამ უკვე პირველმა შეხვედრამ დაუსვა წერტილი ასპარეზობას: გუნდური გამარჯვებისთვის საჭირო მე-5 ქულა მოსკოველებს მოუტანა ასალგაზრდების — ო. მოროზოვასა და ტ. ჩალკოს წყვილმა. მათ დაამარცხეს სსრ კავშირის ჩემპიონები ამ თანრიგში — გ. ბაკშეევა და ტ ტარანოვა — 7:5, 6:1.

III ადგილის ნოსალოვებლად ერთმანეთს შეხვდნენ ესტონეთისა და საქართველოს გუნდები. გაიმარჯვეს ესტონელებმა — 5:2. უნდა აღინიშნოს ი. პარმა- სის მოგება ა. მეტრეველთან — 6:0, 2:6, 6:2. სსრ კავშირის ჩემპიონმა ტ. სიმ- სონმა (სოომემ) მოუგო ი. ჯრმოლოვას — 7:5, 6:3, ხოლო ჩემპიონის მეუღლემ ი. სიმსონმა — თ. კაკულიას — 6:4, 8:6. ა. ივანოვამ დაამარცხა სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი, ესტონეთის ჩემპიონი ტ. კივი—6:3, 2:6, 6:2.

# ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ...

*ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა სპორტსაზოგადოებათა და უწყებების უძლიერეს მოცურავეთა საკავშირო შეჯიბრებები, რომლებშიც წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები.*

*ტალინში, „კალევის“ ახალ, 50-მეტრიან აუზში გაიმართა დინამოელთა ტურნირი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა III საერთოგუნდური ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ შედეგების უმრავლესობა სეზონის დასაწყისისთვის უჩვეულოდ მაღალი იყო. საქართველოს მოცურავეთა ცალკეული გამოსვლებიდან უნდა აღვნიშნოთ ა. იოაკიმიდის გამარჯვება 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. მისი შედეგი — 5.11,9 — აღემატება სპორტის ოსტატის ნორმას. იოაკიმიდი III იყო 200 მეტრზე დელფინის სტილით ცურვაში (2.27,0). გ. შიხინინმა კომპლექსურ ცურვაში II ადგილი დაიკავა (5.18,7), ხოლო ამავე სტილით 200-მეტრიან დისტანციაზე რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა — 2.27,8 (ძველი რეკორდი — 2.29,4— ეკუთვნოდა ბ. ნიკიტინს). 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ფინიშთან III მივიდა კ. ანისიმოვი (1.14.6). აღსანიშნავია ავრეთვე შემდეგი შედეგები: თავისუფალი სტილით 100 და 200 მ ცურვა — გ. კარბუჯოვი — შესაბამისად 58,7 და 2.12,9; დელფინით 100 და 200 მ — ვ. დოლინსკი — 1.07,0 და 2.30,9; 100 მ დელფინით — ვ. ზლობინი — 1.05,2 (პირადი რეკორდი, რომელიც ძალიან ახლოს დგას რესპუბლიკის რეკორდთან); ბრასით 100 და 200 მ — ვ. ჩოლარია — 1.15,3 და 2.46,3.*

*ჩვენი რესპუბლიკის მოცურავე ქალთა შედეგების დონე მუდამ ჩამორჩება ვაჟთა მაჩვენებლებს. ტრადიცია არც ამჯერად დარღვა. მოგვყავს ზოგიერთი შედეგი: ნ. ჩუგუნეიკაია — 100 და 200 მ თავისუფალი სტილით — 1.09,7 და 2.38,3; ნ. ჟუმბაძე — 100 და 200 მ ზურგზე — 1.18,6 და 2.52,5; ნ. ჟიგალოვა — 100 და 200 მ დელფინით — 1.18,6 და 3.03,7; ვ. ენიკინა — 100 და 200 მ ბრასით — 1.28,1 და 3.13,5.*

*ტალინში, იმავე აუზში გაიმართა აგრეთვე „შრომითი რეზერვების“ მოცურავეთა პირადი შეჯიბრება, რომელშიც 2 თბილისელი გამოდიოდა. აი, მათი შედეგები: ა. პოლუნინი — 100 მ თავისუფალი სტილით — I ადგილი (4.01,5); მანვე დაიკავა III ადგილები თავისუფალი სტილით 200 და 400 მეტრზე ცურვაში. ვ. ონუფრიენკომ თავისუფალი სტილით 200 და 400 მ ცურვაში დაიკავა II ადგილი (2.17,1 და 4.59,2).*

*არმიელი მოცურავეები გამოდიოდნენ მოსკოვში, ცსკა-ს აუზში. ა. ტუტაკაევმა III ადგილი დაიკავა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში (2.39,4), ხოლო ი. ფუნიკოვმა ამავე დისტანციაზე — VIII ადგილი (2.44,6). ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა ეს შედეგები უდავოდ არადამაკმაყოფილებელია.*

**ლ. იოაკიმიდი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

# ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲚᲐᲓ I ᲐᲓᲒᲘᲚᲒᲔ

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა საკავშირო ზონალური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის.

ტურნირის ფავორიტებმა — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელებმა დარჩენილი ორი მატჩიც კარგად ჩაატარეს: საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის (სოხუმი) სპორტსმენთა დამარცხებით (81:36) და სომხეთის კოლეგებთან გამარჯვებით (90:34) მათ I ადგილი დაიკავეს და ფინალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი.

III ადგილის ბედი გადაწყდა აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში. ეს კოლექტივები თანაბარი ძალისა არიან, რაც მატჩის მსვლელობამაც დამტკიცა. მხოლოდ დამატებითმა ხუთმა წუთმა გამოავლინა გამარჯვებული: წარმატება წილად ხვდათ აფხაზეთის სპორტსმენებს — 62:61.

ელენა რასინა ლენინგრადის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტია. თებერვლის ცივსა და ქარიან ამინდში მან მეგობარ ტანმოვარჯიშეებთან ერთად ინახულა საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, ჯვარი, სვეტიცხოველი, მიხეილ მამულაშვილი...

ავტობუსით უკან მგზავრობისას იგი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის სვეტლანა მაკავარიანის გვერდით აღმოჩნდა. ელენამ ხმამაღლა განაგრძო ფიქრი და თავისი შთაბეჭდილებები გაანდო თბილისელ მეგობარს:

— ჩემთვის ახლა სამმაგად გასაგებია ნათელა რევაზიშვილის ნებისმიერი ვარჯიში. საოცრად მდიდარი ტრადიცია, მაღალი სული, შემართება და აღმაფრენა, რაც ჯვარში გამოსჭვივის და სვეტიცხოველში ღაღადებს და რასაც თქვენი ჯადოსანი მეყვავილეც ქარგავს.

დიახ. ერთი დღის წინ თბილისის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში მუსიკის აკომპანემენტის თანხლებით ცოცხლდებოდა რუსული, უკრაინული, ესტონური, ქართული კოლორიტი. 6 ქალაქის — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტარტუს, ოდესისა და თბილისის უნივერსიტეტების მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა კოლექტივები ტრადიციულ თასზე ეპაექრებოდნენ ერთმანეთს.

შეჯიბრება გაიმართა სავალდებულო ვარჯიშთა ახალი პროგრამით, რამაც სპეციალისტთა, მწვრთნელთა და მაჯთა ინტერესი და კამათი გამოიწვია. როგორც ჩანს, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე ვერ არის, ვინაიდან 36 მონაწილიდან ვერც ერთმა ვერ შეასრულა ოსტატის ნორმატივი (54 ქულა). და ეს მაშინ, როცა სარბიელზე გამოვიდნენ მხატვრული ტანვარჯიშის რჩეულნი.

# ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐ

დღის წესრიგშია: აპრილში — სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა, ივლისში — სტუდენტთა სპორტული თამაშები. გრაციისა და სინაგოგის ოსტატები, ალბათ, მაშინ მაინც იტყვიან თავის სათქმელს.

... სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა ლ. პარადიევამ (კიევი) ინერტულად დაიწყო შეჯიბრება და სავალდებულო ვარჯიშთა შესრულების შემდეგ მხოლოდ III იყო. მაგრამ მან იცის თავისი ტიტულის ფასი და საფრთხის წინაშე მდგარი ჩემპიონი ბეჯითად შეუდგა „გაფანტული მეასედების შეგროვებას“.

და პარადიევამ გვიჩვენა, რომ ჯერჯერობით მას ტოლი არა ჰყავს. დიახ, ჩემპიონის წოდება „მძიმეა“, მაგრამ საპატიო.

ალბათ, ასეთივე გრძნობით მიიწევდნენ ფინიშისკენ საქართველოსა და ესტონეთის ჩემპიონები —ს. მაჭავარიანი და ს. სახვა. მაჭავარიანმა 0,1 ქულით გაუსწრო ესტონელს და II ადგილი დაისაკუთრა.

გუნდური პირველობა ჩვენი უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეთა კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილზეა შარშანდელ ასპარეზობაში გამარჯვებული — ლენინგრადის გუნდი, ხოლო III — ტარტუს უნივერსიტეტის კოლექტივი.

ტრადიციული ასპარეზობა დამთავრდა, რაიფერა სპორტული მეგობრობის კიდევ ერთი ფურცელი.

...ავტობუსი, რომელშიც ერთი მისწრაფების ქალიშვილები ისხდნენ, თბილისში მოვიდა, გამომშვიდობებისას რასინამ თავის სპორტულ მეტოქეს, — სვეტლანას უთხრა:

— ჩემგან ელოდეთ სიურპრიზს მომავალ შეჯიბრებებში. ასე შთამაგონა ოქვენი მშობლიური ადგილების ნახვამ, თქვენმა ენერგიებმა. მაგრამ მუდამ უბერებელმა ტრადიციებმა.

**გ. შეყილაძე.**

* * *

ს ურ ა თ ზ ე: ლ. პარადიევა საგნით ვარჯიშისას.

ფოტო ავტორისა.

# ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

ბ ა კ ურ ი ა ნ ი, 7 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). იაგორას ველზე გუშინ სტარტი მიეცა 30 კილომეტრზე ვაჟთა სათხილამურო რბოლას: დაიწყო საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადა. ასპარეზობაში მონაწილე 12 კოლექტივი დაყოფილია ორ ჯგუფად: — პირველში იბრძვიან თბილისის, აჭარის, მესტიის, ახალქალაქისა და ბორჯომის ნაკრები გუნდები; მეორეში — სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, ონის, ცაგერისა და ამბროლაურის სპორტსმენები.

სპარტაკიადის პროგრამაშია სხვადასხვა მანძილზე რბენა, სამთო-სათხილამურო სპორტი, ბიატლონი, ტრამპლინიდან ხტომა, ორჭიდი და ჰოკეი. ჰოკეიში მხოლოდ 4 გუნდი გამოვიდა, სხვა სახეობებში კი მრავალრიცხოვნებაა. ეს იმანაც განაპირობა, რომ მოზრდილთა გუნდებთან ერთად ტურნირში ძალებს ცდიან მოზარდთა კოლექტივებიც, რომელთა მაჩვენებლები შედის საერთო შედეგების განსაზღვრაში და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს.

სწორედ ამ ფაქტორმა დააწინაურა ბორჯომის კოლექტივი პირველი დღის შემდეგ. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა რბენაში გაიმარჯვეს თბილისელმა მოთხილამურეებმა. მაგრამ იმის გამო, რომ დედაქალაქის გოგონები და ჭაბუკები შედარებით სუსტად გამოვიდნენ, ორით მეტი საჯარიმო ქულა დაიმსახურეს (9), ვიდრე ბორჯომელებმა. მესტიის გუნდი 1 ქულით აგებს თბილისთან.

რაც შეეხება მეორეჯგუფელთა გუნდურ ასპარეზობას — აქ ამკარაა სამხრეთ ოსეთის კოლექტივის უპირატესობა: 4 დისტანციის შემდეგ მან მხოლოდ 5 საჯარიმო ქულა მიიღო მაშინ, როცა II და III ადგილებზე მყოფ ამბროლაურისა და ცაგერის კოლექტივებმა შესაბამისად 14 და 16 საჯარიმო ქულა „მოიმკეს“.

სპარტაკიადის გახსნის წინა დღეებმა ნამდვილად გაახარა მონაწილენი. თუ მანამდე უთოვლობის გამო ამ-ღონისძიებას ჩაშლა ემუქრებოდა, ბუნებამ წყალობა არ დაიშურა და ერთი კვირით ადრე „ამცნო“ სპორტსმენებს: საგანგაშო არაფერი გაქვთო. ასპარეზობის დაწყებამდე ორი დღით ადრე ბაკურიანი ბარაქიანად გაახვია თეთრ საბურველში და ისე თოვდა, რომ ბუნების ეს სიუხვე კინაღამ პილპილმოყრილ მადლად იქცა.

მაგრამ აი, გუშინ დილით თოვა შეწყდა. დამხმარე ჯგუფებმა სასწრაფოდ გაიყვანეს ტრასები და იაგორას ველი შესანიშნავი მზიანი ამინდით შეეგება პირველ მოასპარეზეთ. ზამთარი თუმცა უთოვლო გვქონდა, მაგრამ შეჯიბრებამ ცსადყო, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოსამზადებელი პერიოდი უქმად არ გაუტარებიათ: შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ვაჟები და ჭაბუკები ერთ ტრასაზე ასპარეზობდნენ, ოღონდ ეგ იყო, რომ 10-კილომეტრიანი წრიული დისტანცია ჭაბუკებს ერთხელ უნდა გავლოთ, ვაჟებს — სამჯერ. 29 კაცი გავიდა სტარტზე, მათგან 1 მოიხსნა დისტანციის „მოჭრისთვის“, 3 ბრძოლას შეუშინდა და რბოლა მიატოვა, 17-მა კი აჩვენა I თანრიგის ნორმატივი! (მათ შორის ექვსმა პირველად!). გამარჯვებისთვის ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა სპორტის ოსტატ ნ. ბიტიუკოვსა (თბილისის „ბურევესტნიკი“), მის თანაგუნდელ ზ. გულბანსა და ბორჯომელ ს. სტეპანკოვს („კოლმეურნე“) შორის. I-წრე ყველაზე სწრაფად დაფარა სტეპანკოვმა (31.46,0) და 10 წამით გაუსწრო ბიტიუკოვს. გულბანი 16 წამით ჩამორჩა თანაგუნდელს. 20 კილომეტრის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ბიტიუკოვმა და ბოლო წრეზე სტეპანკოვს 7-წამიანი „ფორაც“ აართვა. საფინიშო წრეზე ბორჯომელს გაასწრო გულბანმაც.

არანაკლებ „მოსავლიანი“ გამოდგა ჭაბუკთა ასპარეზობა. რბოლა დაამთავრა 30 სპორტსმენმა. ისინი მართლაც ჭაბუკური შეკართებით იბრძოდნენ გამარჯვებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანაგუნდელების — მესტიის რაიონის სოფელ „ფარის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე თ. გულბანისა და სოფელ ბულახის საშუალო სკოლის მეათეკლასელი რ. ჯაფარიძის წარმატება. ორივენი „გამოვიდნენ“ 35 წუთიდან და პირველად შეასრულეს I თანრიგის ნორმატივი. მათ გარდა, ამ თანრიგს შეწვდა კიდევ 5 ჭაბუკი, სულ კი 9 მოზარდმა დამთავრა რბენა I თანრიგის საწყის ნორმატივზე (37.30,0) უკეთეს დროში

ქალები და გოგონები ასპარეზობდნენ 5 კილომეტრზე. კ. კეხბამ და ვ. გავამ აჩვენეს I თანრიგის შედეგი. ასევე გავიხარეს ონის რაიონის სოფელ ბლოლის საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ნ. ბაღაშვილმა, რომელიც მხოლოდ კეხბასა და გავას ჩამორჩა.

**ო. ბელაშვილი.**

## ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ. ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘ

**ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ.** რბენა 5 კმ — ნ. ბალაშვილი (ონის „კოლმეურნე“) — 22.03,0; ლ. ხაჩიძე (ბორჯომის განათლების განყოფილება)—24.14,0; ი. ფარასტაევა (სამხრეთ ოსეთი, განათლების განყოფილება)—25.48,0. **ᲥᲐᲚᲔᲑᲘ.** რბენა 5 კმ — კ. კეხბა (თბილისის „სპარტაკი“) — 20.16,0; ვ. გავა (თბილისის „განთიადი“) — 21.07,0; ე. გავა (თბილისის „განთიადი“, პირადი) — 23.32,0. **ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ.** რბენა 10 კმ — თ. გულბანი — 34.46,0, რ. ჯაფარიძე (ორივენი— მესტიის „კოლმეურნე“) — 34.51,0; ა. გორბაჩოვი (სამხრეთ ოსეთი, განათლების განყოფილება) — 35.33,0. **ᲕᲐᲟᲔᲑᲘ.** რბენა 30 კმ — ნ. ბიტიუკოვი — 1:33.58,0; ზ. გულბანი (ორივენი — თბილისის „ბურევესტნიკი“) — 1:35.22.0; ს. სტეპანკოვი (ბორჯომის „კოლმეურნე“) — 1:35.40,0.

**ᲰᲝᲙᲔᲘ.** ადიგენი — ახალქალაქი 5:3 (2 : 0, 2 : 2, 1 : 1), თბილისი — ბორჯომი 4 : 2 (1 : 0, 1 : 2, 2 : 0).

# „ჯრუზეიროს“ დამარცხებულია

### საბჭოთა ნაკრები — პირველ ადგილზე

**ბელუ-ორიზონტი**, 7 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გუშინ აქ შეხვდა ადგილობრივ „ჯრუზეიროს“. საბჭოთა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 1:0 და გახდნენ მინას-ჟერაისის შტატის ტურნირის გამარჯვებულნი, სადაც მონაწილეობდნენ აგრეთვე „ატლეტიკო მინეირო“ და „ფლამენგო“. ეს ერთადერთი ბურთი „ჯრუზეიროს“ კარში 47-ე წუთზე ბანიშევსკის გადაცემიდან გაიტანა ვ. ივანოვმა.

ჩვენი გუნდი ამ მატჩში თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, გეტმანოვი, ვორონინი, ჰუსაინოვი, მეტრეველი, ივანოვი, ბანიშევსკი, მესხი. მეორე ტაიმში მეტრეველი და მესხი შეცვალეს ჩისლენკომ და ოპაევმა, ხოლო ჰუსაინოვისა და ივანოვ-ს ნაცვლად გამოვიდნენ ბიბა და სერებრიანიკოვი.

მატჩის მსვლელობაში ადგილი ჰქონდა ასეთ ამბავს: მასპინძელთა მცველმა ნიკომ 30-ე წუთზე საჯარიმო მინდორზე მოცელა მეტრეველი. პენალტ-ს დასარტყმელად ემზადებოდა ეოორონინი, მაგრამ ბოლო მომენტში დაარტყა მესხმა და ბურთი აიცილა კარს.

ამავე დღეს აქ III ადგილისთვის იბრძოდნენ „ატლეტიკო მინეირო“ და „ფლამენგო“. გაიმარჯვა „ფლამენგომ“ — 1:0.




# რეგინამ ოქროს ოქრო დაუმატა

ბრატისლავა, 6 თებერვალი. ციგურებით ფიგურულ სრიალში ევროპის ჩემპიონატის ბოლო მედლები გუშინ ქალებმა გაითამაშეს. ეს იყო უაღრესად მომხიბვლელი, ემოციური სანახაობა. ვენელმა სტუდენტმა, 22 წლის რეგინა ჰაიტცერმა დაამტკიცა, რომ იგი სამართლიანად ითვლება კონტინენტის უძლიერეს ფიგურისტად და შარშან მოხვეჭილ „მოსკოვურ ოქროს“ სლოვაკიის დედაქალაქში მოპოვებული ოქროც დაამატა. ჩემპიონმა დააგროვა 2224,4 ქულა.

ნებისმიერი პროგრამის ბრწყინვალედ შესრულების წყალობით ვერცხლის მედალს დაეპატრონა გაბ-ქულა. ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა ფრანგმა ნიკოლ ასლერმა — 2136,4. ლენა შჩეგლოვა (სსრ კავშირი) XVII ადგილზეა.

სურათზე: ევროპის ორგზის ჩემპიონი რ. ჰაიტცერი შეჯიბრებისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

### ✦ ფინალში გავიდა

*ბერლინი, 7 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატში წარუმატებლად გამოსვლის შემდეგ მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატ ქალთა ნაკრები გავიდა გდრ-ის დედაქალაქში მიმდინარე დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში. მან დაამარცხა რუმინეთისა (3:2) და ევროპის ჩემპიონი — ინგლისის (3:0) გუნდები, ხოლო შემდეგ წააგო უნგრელებთან — 0:3.*

ფეხბურთი — ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

# ჩემპიონი ჩემპიონობს

**ინგლისის** ჩემპიონის—„მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშმა „ბენფიკასთან“ გასულ ოთხშაბათს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის ფეხბურთის სპეციალისტებზე. პორტუგალიის ნაკრების ერთ-ერთმა სელექციონერ-მა, მაგალითად, განაცხადა, რომ მას უკანასკნელი 4 წლის მანძილზე არ უნახავს „მანჩესტერ იუნაიტედზე“ უკეთესი გუნდი. პორტუგალიის პრესაც აღნიშნავს ინგლისის ჩემპიონის ბრწყინვალე თამაშს. განსაკუთრებით გამოყოფენ გუნდის „დირიჟორს“ რ. ჩარლტონს.

შაბათს ინგლისის ჩემპიონატის მორიგ, XXX ტურში, რ. ჩარლტონმა კვლავ დაამტკიცა თავისი რეპუტაცია და „ნორთჰემპტონის“ კარში 3 გოლი გაიტანა. ლოუმ ამას 2 ბურთი დაუმატა, ხოლო კონელიმ — 1. ჩემპიონმა მოიგო — 6 : 2.

მორიგი გამარჯვება გასვლით შეხვედრაში მოიპოვა გათამაშების ლიდერმა „ლივერპულმაც“, რომელმაც დაამარცხა „ბლეკბერნ როვერსი“ — 4:1.

ინგლისის პრესაში განგაში ატყდა — ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასას მფლობელმა, ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ კვლავ მარცხი განიცადა, ამჯერად „ლიდს იუნაიტედთან“ — 0 : 5.

ლონდონის „არსენალმა“, რომლის მწვრთნელმა ბ. რაიტმა მოიშორა ინგლისის ნაკრების 2 ფორვარდი — ჯ. ისტჰემი და ჯ. ბე